საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია
SOLID WASTE MANAGEMENT COMPANY OF GEORGIA

# შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების წლიური ანგარიში

## 2022 წელი

მომზადებულია: ტექნიკური დეპარტამენტის, ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების განყოფილების, შრომის უსაფრთხოების კოორდინატორის მიერ

ქ.თბილისი

# სარჩევი


შესავალი ..... 3

თავი 1: 2021 წელს შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში გატარებული ღონისძიებები ..... 4

1. ადმინისტრაციულ/პროცედურული: ..... 4
2. ტრენინგები/ინსტრუქტაჟები ..... 5
3. ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური ..... 6

თავი 2: ნაგავსაყრელებზე და გადამტვირთ სადგურებზე 2021 წელს რეგისტრირებული ინციდენტების და უბედური შემთხვევების/სხეულის დაზიანების წლიური ანგარიში ..... 8

თავი 3: 2021 წელს შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მონიტორინგის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდირებული ღონისძიებები ..... 12

1. რეკომენდირებული პროცედურულ/ადმინისტრაციული ღონისძიებები ყველა ობიექტისთვის..... ..... 12
2. პერსონალური დამცავი აღჭურვილობა, ხანძარსაწინააღმდეგო და პირველადი სამედიცინო დახმარების აღჭყრვილობა ..... 14
3. ტრენინგები/ინსტრუქტაჟები ყველა ნაგავსაყრელის და გადამტვირთი სადგურის თანამშრომლისთვის…..... 14

თავი 4: შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში არსებული მდგომარეობის 2020-2021 წლების შედარებითი ანალიზი ..... 15

თავი 5: შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით 2023 წელს რეკომენდირებული სამუშაოების სამოქმედო გეგმა ..... 17

## შესავალი

წინამდებარე ანგარიში ეხება შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“-ს მიერ შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით 2022 წელს კომპანიაში ჩატარებულ სამუშაოებს და მიღებულ შედეგებს, აგრეთვე დამატებულ ქვეთავში მოცემულია 2023 წელს გასატარებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა რეკომენდაციები ამ კუთხით გასატარებელი პრიორიტეტული ადმინისტრაციულ-პროცედურული და ინფრასტრუქტურულ-ტექნოლოგიური ღონისძიებების შესახებ, ასევე შრომითი უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში არსებული მდგომარეობის 2021-2022 წლების შედარებითი ანალიზი.

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგნაირად არის ორგანიზებული:

- პირველი თავი ეხება 2022 წელს შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში გატარებულ ღონისძიებებს.
- მეორე თავში წარმოდგენილია ინფორმაცია რეგიონების მიხედვით ნაგავსაყრელებზე, გადამტვირთავ სადგურებზე და გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და ნარჩენების მართვის სამსახურის მიერ გურიის სანაპირო ზოლის და მდინარეებზე მოწყობილი დამჭერების დასუფთავებაზე, ასევე კოპანიის ცენტრალურ ოფისში მიმდინარე სამუშაოების დროს შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით 2022 წელს რეგისტრირებული ინციდენტების და უბედური შემთხვევების/სხეულის დაზიანებების შესახებ.
- 2022 წელს შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მონიტორინგის შედეგების შეფასებაზე დაყრდნობით რეკომენდირებული ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური და ადმინისტრაციულ/პროცედურული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ანგარიშის მესამე თავში.
- მეოთხე თავი ეთმობა შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში არსებული მდგომარეობის 2021-2022 წლების შედარებით ანალიზს.
- მეხუთე თავი მოიცავს შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით 2023 წელს რეკომენდირებული სამუშაოების სამოქმედო გეგმას და მონიტორინგის ცხრილს.

## თავი 1: 2022 წელს შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში გატარებული ღონისძიებები

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ 2022 წელს შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით შემდეგი ქმედებები განახორციელა:

### 1. ადმინისტრაციულ/პროცედურული:

- კომპანია აგრძელებს საერთაშორისო პრაქტიკის, ქვეყანაში მოქმედი შრომის უსაფრთხოების ორგანული კანონის გათვალისწინებით და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შრომის ინსპექციის დეპარტამენტთან თანამშრომლობით დასაქმებული თანამშრომლების შრომითი პირობების გაუმჯობესებას და არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას.

  - კომპანიის მიერ მომზადებული და დამტკიცებული ცხრილით (შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით საყურადღებო და ზოგადი პირობების ჩამონათვალი ე.წ. ჩეკლისტი) მიმდინარე 2022 წლის ზაფხული/ზამთრის პერიოდში განხორციელდა კომპანიის ყველა მოქმედ ობიექტზე არსებული მდგომარეობის მონიტორინგი;

  - მიმდინარე 2022 წლის დეკემბრის თვეში კომპანიის შრომის უსაფრთხოების საკითხებში უფ.კოორდინატორმა განახორციელა გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და ნარჩენების მართვის სამსახურის მიერ გურიის სანაპირო ზოლის და ზღვაში ჩამდინარე მდინარეებზე მოწყობილი დამჭერების დასუფთავებაზე არსებული სამუშაოებიდან და ასევე 2022 წელს ზემოაღნიშნული სამსახურის ახლად მოწყობილ სამუშაო ეზოში არსებული პროცესებიდან მომდინარე საფრთხეების, ხელმეორედ შეფასება და ნარჩენი რისკების გადახედვა, ქვეყანაში მოქმედი წესის და მეთოდოლოგიის შესაბამისად (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-15/ნ, მიღ: 2020 წლის 30 იანვარი), განახლდა არსებული და კომპანიის მიერ დამტკიცებული რისკის შეფასების დოკუმენტი;

გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და ნარჩენების მართვის სამსახურის (20.12.2022 წელს) განახლებული რისკის შეფასების დოკუმენტი

  - კომპანიამ შექმნა (2021 წლის ივლისის თვეში გურიის მუნიციპალიტეტის მიერ დროებით განკარგვაში გადმოცემული ორი წლის ვადით, გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის გრიგოლეთი და ურეკი-შეკვეთილის და შავ ზღვაში

ჩამდინარე მდინარეებზე მოწყობილი, ნარჩენის დამჭერი ბადეების დასუფთავების სამუშაოები) გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და ნარჩენების მართვის სამსახური.

- კომპანიის შრომის უსაფრთხოების საკითხებში უფ.კოორდინატორ მიერ მომზადდა შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის ვრცელი ინსტრუქცია, გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზღვაში ჩამდინარე მდინარეებზე მოწყობილი დამჭერების დასუფთავებაზე მომუშავე მენავე დამსუფთავებლებისათვის;



მენავე დამსუფთავებლის სამუშაო ინსტრუქცია

- კომპანიის მიერ ცენტრალური ოფისისათვის, ბეჭდური გამომცემლობის დახმარებით მომზადდა კომპანიის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, შემთხვევების და ინციდენტების, ტრენიგების/სწავლებების აღრიცხვის ჟურნალები;

## 2. ტრენინგები/ინსტრუქტაჟები

- 2022 წლის 12 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით, ჩვენი კომპანიის შრომის უსაფრთხოების საკითხებში უფ.კოორდინატორმა გაიარა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სასერტიფიკატო გამოცდის მოსამზადებელი სასწავლო პროგრამა (მოსამზადებელი სასწავლო პროგრამის ჩამტარებელი: შპს „შრომის უსაფრთხოების ევროპული ცენტრი“). სასერტიფიკატო გამოცდის მოსამზადებელი სასწავლო პროგრამის გავლის შემდგომ უფ.კოორდინატორმა შრომის უსაფრთხოების საკითხებში მიმდინარე წლის 25 ნოემბერს წარმატებით გაიარა სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ ორგანიზებული სასერტიფიკატო გამოცდა და სამი წლის ვადით მიენიჭა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის კვალიფიკაცია;

სერტიფიკატი: სარეგისტრაციო N 000862

- მიმდინარე 2022 წლის 25-30 აპრილს კომპანიის რეგიონული მართვის დეპარტამენტის, ქ.რუსთავის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის ელექტრიკოსმა წარმატებით გაიარა, აკრედიტირებული საქართველოს ტექ.უნივერსიტეტის, ენერგეტიკისა და ტელეკომინიკაციის ფაკულტეტის ენერგეტიკული პერსონალის სასერტიფიკაციო ორგანო „ენერგეტიკოსი“-ის მიერ ორგანიზებული, (ხელმძღვანელი პროფ. **თენგიზ მუსელიანი)** ელექტროუსაფრთხოების საკვალიფიკაციო ჯგუფის და ელექტროდანადგარებზე დაშვების სასერტიფიკატო სწავლება და კომპეტენტურობის გამოსავლენი გამოცდა. მას ელექტროუსაფრთხოებაში ერთი წლის ვადით (02.05.2022 დან – 02.05.2023 მდე) მიენიჭა IV საკვალიფიკაციო ჯგუფი და დაშვებულია 1000 ვ. -ზე ზევით ძაბვის ელექტროდანადგარებზე სამუშაოების შესასრულებლად (სეტიფიკატი N GTU-FET-PC-9992);

სერტიფიკატი: სარეგისტრაციო N GTU-FET-PC-9992

- 2022 წლის 12 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით, ჩვენი კომპანიის შრომის უსაფრთხოების საკითხებში უფ.კოორდინატორმა გაიარა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სასერტიფიკატო გამოცდის მოსამზადებელი სასწავლო პროგრამა (მოსამზადებელი სასწავლო პროგრამის ჩამტარებელი: შპს „შრომის უსაფრთხოების ევროპული ცენტრი“). სასერტიფიკატო გამოცდის მოსამზადებელი სასწავლო პროგრამის გავლის შემდგომ უფ.კოორდინატორმა შრომის უსაფრთხოების საკითხებში მიმდინარე წლის 25 ნოემბერს წარმატებით გაიარა სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ ორგანიზებული სასერტიფიკატო გამოცდა და სამი წლის ვადით მიენიჭა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის კვალიფიკაცია;

## 3. ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური

- კომპანიამ მიმდინარე წელს შრომითი პიროებების გაუმჯობესების და უზრუნველყოფის მიზნით, დ.ურეკის გადამტვირთავი სადგურის ტერიტორიაზე არსებული ფარდულის შენობას ჩაუტარა რეკონსტრუქცია და მოაწყო გურიის სანაპირო ზოლის დასუფთავების სამსახურისათვის კეთილმოწყობილი სამუშაო ოფისი დამხმარე სათავსო ოთახით, რომელიც აღჭურვა გაგრილება გათბობის სისტემებით და სათავსო ოთახი შესაბამისი სიმძლავრის ჰაერის გამწოვი მოწყობილობით. ასევე არსებულ ეზოში მოაწყო

ტექნიკის (116 ერთეული ტექნიკა, აღიჭურვა სასიგნალო ციმციმებით) სადგომი, ტექნიკის სამრეცხაო შესაბამისი აღჭურვილობით (კერხერი, წყლის წნევის უზრუნველსაყოფად საქაჩი ელ.ტუმბო, ტექნიკის ასაყვანი პანდუსი), სახელოსნო ფანჩატური, სასაწყობე ფარდული და საპირფარეშო/პირსაბანი. მთელ ტერიტორიაზე გარშემო მოეწყო განათების ბოძები, რეგულაციების და მოთხოვნების შესაბამისად სამუშაო ეზო უზრუნველყოფილია ორი ჭიშკრით (შესასვლელი-გასავლელი) მოწყობილია ამკრძალავი/მაფრთხილებელი ნიშნები;

გურიის სანაპირო ზოლის დასუფთავების სამსახურის სამუშაო ეზო

- კომპანიამ რეაბილიტაცია ჩაუტარა მანგლისის გადამტვირთავ სადგურს, კერძოდ: სადარაჯო ჯიხურს, პლათფორმაზე არსებულ საფეხმავლოებს, სადგურის ტერიტორიის განათების ბოძებს, ახალი რეგულაციის შესაბამისად მოაწყო მაფრთხილებელი/ამკრძალავი ნიშნები:

დაბა მანგლისის რეაბილიტირებული არასახიფათო ნარჩენის გადამტვირთავი სადგური

- კომპანიამ შრომის ინსპეციის სამსახურის მითითების შესაბამისად გადამტვირთავი სადგურების პლათფორმაზე საფეხმავლოების გარშემო არსებულ მოაჯირებს ჩაუტარა რეაბილიტაცია მოქმედი სტანდარტის და ნორმის შესაბამისად (სადაც ამის აუცილობლობა იყო);

- კომპანიამ ელ.ტენდერის მეშვეობით გამოვლენილი შესაბამისი მომსახურების მქონე ორგანიზაციის დახმარებით, ზაფხული-შემოდგომის პერიოდში ყველა მოქმედი ნაგავსაყრელის (გამონაკლისი ობიექტების გარდა, სადაც აღნიშნული სამუშაო მთელი წლის განმავლობაში ესაჭიროებათ) სამეურნეო ზონის და გადამტვირთავი სადგურის კონტეინერების განთავსების ტერიტორიაზე განახორციელა მღრღნელების, ქვეწარმავლების და მწერების საწინააღმდეგო სადეზინფექციო-სადერატიზაციო სამუშაოები, კერძოდ: ხუთი თვის განმავლობაში, თვეში ერთხელ ივნისის, ივლისის, აგვისტოს, სექტემბერის და ოქტომბრის თვეებში (აღნიშნულ სამუშაოებს კომპანია კონტრაქტორის მეშვეობით ყოველ წელს ახორციელებს);

# თავი 2: ნაგავსაყრელებზე, გადამტვირთავ სადგურებზე, გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და ნარჩენების მართვის სამსახურში და კომპანიის ცენტრალურ ოფისში 2022 წელს რეგისტრირებული ინციდენტების და უბედური შემთხვევების/სხეულის დაზიანების წლიური ანგარიში

| რეგიონი | რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა | დაზარალებულის პოზიცია | ნაგავსაყრელი/გადამტვირთავი სადგური/გურიის სანაპირო ზოლის დასუფთავების სამსახური | ინციდენტის/დაზიანების ტიპი | გაწეული დახმარება | კომპანიის მიერ გაწეული ფინანსური ხარჯი | მიღებული პრევენციული ზომები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცენტრალური ოფისი | 0 | | | | | | |
| კახეთი | 0 | | | | | | |
| მცხეთა-მთიანეთი | 0 | | | | | | |
| ქვემო ქართლი | 0 | | | | | | |
| შიდა ქართლი | 1 | ოპერატორი | ქ.გორის ნაგავსაყრელი | ჯიხურში ელ.სადენისგან მომხდარი აალება | თავის ძალებით დროულად მოახდინა | 0 | კომპანიის ელეკტრიკოსის მიერ |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | აალების ლიკვიდაცია | | ელ.გაყვანილობის შეცვლა |
| სამცხე-ჯავახეთი | 0 | | | | | | |
| იმერეთი | | | | | | | |
| რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | 1 | ოპერატორი | ონის ნაგავსაყრელი | ნაგავსაყრელის მოქმედი უჯრედი | გამოძახებული იქნა სახანძრო სამსახური (112) | 0 | უჯრედში განთავსებამდე ნარჩენის კონტროლი, მუნიციპალური სამსახურის თანამშრომლების გაფრთხილება (შეგროვილი ნარჩენის კონტროლი) |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 0 | | | | | | |
| გურია | 0 | | | | | | |




დიაგრამა 1: ნაგავსაყრელებზე და გადამტვირთ სადგურებზე 2022 წელს რეგისტრირებული ინციდენტები და უბედური შემთხვევები/სხეულის დაზიანება რეგიონების მიხედვით

# თავი 3: შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მონიტორინგის შედეგების შეფასებაზე დაყრდნობით რეკომენდირებული ღონისძიებები

## 1. რეკომენდირებული პროცედურულ/ადმინისტრაციული ღონისძიებები ყველა ობიექტისთვის

- ნაგავსაყრელებზე, გადამტვირთ სადგურებზე, გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის დასუფთავების და კომპანიის ცენტრალურ ოფისში მიმდინარე სამუშაოებზე, შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული ჟურნალების და სხვა დოკუმენტაციის მოწესრიგებულად წარმოება/შენახვა:
    - ყოველდღიური ინსტრუქტაჟის რეგისტრაციის ჟურნალი (ობიექტის ტერიტორიაზე არცერთი ვიზიტორი არ დაიშვება ჟურნალში რეგისტრაციის გარეშე)
    - ინციდენტების/უბედური შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი (სავალდებულო ყველა შემთხვევის/ინციდენტის აღრიცხვა-ანგარიშგება)
    - ვრცელი ინსტრუქციები ოპერატორი/მექანიზატორი/მდინარეზე მოწყობილი დამჭერების დასუფთავების სპეცტექნიკს მემანქანე/მენავე დამსუფთავებელი/სანაპირო ზოლის დამსუფთავებელი/სანაპირო ზოლის სპეცტექნიკის მემანქანე/ელექტრიკოსი/ბიოარის ჩირაღდნული წვის სისტემის ოპერატორი/კომპანიის ცენტრალური ოფისის დამსუფთავებელი/დამლაგებელი (ყველა თავთავიანთ ინსტრუქციას გაცნობილი)
    - ყოველდღიური მოკლე ბრიფინგები (გამოკრული თვალსაჩინო ადგილას)
    - ყველა მოქმედ ობიექტზე გველის საწინააღმდეგო შრატის განთავსების მისამართები/ნომრები ადგილმდებარეობის მიხედვით (გამოკრული თვალსაჩინო ადგილას)
    - პირველადი სამედიცინო დახმარების და საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესების სასწავლო მასალა (გაცნობილი ყველა ობიექტის თანამშრომელი)

  დასაქმებულების მხრიდან მაქსიმალური ყურადღების გამოჩენა სავალდებულო ჟურნალების წარმოების და მათი მოვლა/პატრონობის დროს, შრომის უსაფრთხოების დოკუმენტაციის ცალკე საქაღალდეში შენახვა
- ნაგავსაყრელებზე, გადამტვირთ სადგურებზე და გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და ნარჩენების მართვის სამსახურის ტერიტორიაზე, კომპანიის ცენტრალურ ოფისში არსებული ინფრასტრუქტურის და სპეცტექნიკის ტრანსპორტის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში ყოფნა:
    - პერიოდული მონიტორინგი/კონტროლი კომპანიის მმართველობაში არსებულ ნაგავსაყრელებზე, გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და ნარჩენების მართვის სამსახურის ტერიტორიაზე, გადამტვირთავ სადგურებზე და კომპანიის ცენტრალური ოფისში არსებული ინფრასტრუქტურის და სპეცტეკნიკის/ტრანსპორტის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში ყოფნის მიზნით
- ტერიტორიის სისუფთავე და დასაქმებულების პირადი ჰიგიენა
    - გარკვეული პერიოდულობით შენობების/სართული/ტერიტორიის წყლით მორეცხვა
    - მაქსიმალური სისუფთავის დაცვა ობიექტებზე

    - თანამშრომლების მიერ პირადი ჰიგიენის მაქსიმალური დაცვა
- კომპანიის მმართველობაში არსებულ ნაგავსაყრელებზე გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და ნარჩენების მართვის სამსახურის ტერიტორიაზე, გადამტვირთავ სადგურებზე და კომპანიის ცენტრალურ ოფისში აკრძალული ქმედებები
    - თამბაქოს მოწევა
    - არაფხიზელ მდგომრაობაში ყოფნა
    - მობილური და სხვა საშუალებების გამოყენება ნარჩენების სორტირების პროცესში (რუსთავის ნაგავსაყრელი) და სხვა ობიექტებზე მიმდინარე სამუშაოების შესრულების დროს
- თანამშრომლების სამედიცინო მომსახურება
    - საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლების პერიოდული აცრა დაავადებებზე
    - ჯანმრთელობის მდგომარეობის პერიოდული შემოწმება
- ნარჩენების მიღების, სორტირების, უჯრედში და გადამტვირთავი სადგურის კონტეინერში განთავსების, გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის, გურიის მონაკვეთში შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეებზე მოწყობილი დამჭერების და კომპანიის სენტრალურ ოფისში დასუფთავების, ნარჩენების გატანის და ბიოარის ჩირაღდნული წვის სისტემის მომსახურების პროცესში შრომითი უსაფრთხოების და ჯანმრთელობის პროცედურების დაცვა
    - ნარჩენის სპეცტექნიკიდან დაცლა და დატვირთვა არ ხდებოდეს მაღალი სიმაღლიდან, რათა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი ობიექტებზე დამტვერიანების ხარისხი
    - ნარჩენის მიღების, სორტირების, შეგროვების და უჯრედში განთავსების პროცესში მაქსიმალური სიფრთხილის და ყურადღების გამოჩენა
    - მაქსიმალური კონტროლი ნაგავსაყრელზე ნარჩენის მიღებისას მავნე ბიოლოგიური და ქიმიური (სახიფათო ნარჩენების) ნივთიერების მოხვედრის თავიდან აცილების მიზნით
    - ბიოარის ჩირაღდნული წვის სისტემის მაქსიმალური კონტროლი ოპერატორის მხრიდან და უსაფრთხოების სამუშაო ინსტრუქციის დაცვა
    - შავი ზღვის სანაპირო ზოლში მიმდინარე დასუფთავების სამუშაოების შესრულების დროს დასაქმებულების მხრიდან მაქსიმალური ყურადღების გამოჩენა და უსაფრთხოების სამუშაო ინსტრუქციების დაცვა/გათვალისწინება, მეტეოროლოგიური პირობების გაუარსების შემთხვევაში სამუშაოების დაუყოვნებლივ შეწყვეტა
    - მდინარეზე მოწყობილი დამჭერების დასუფთავების დროს მდინარეზე წყლის დონის მომატების ან მეტეოროლოგიური პირობების გაუარსების შემთხვევაში სამუშაოების დაუყოვნებლივ შეწყვეტა
    - მდინარეზე მოწყობილი დამჭერების დასუფთავებაზე მომუშავე ტექნიკის მემანქანემ მოგროვილი ნარჩენის ჩამჩით ამოზიდვამდე ტექნიკის მაქსიმალურად მყარ ადგილზე დაფიქსირება, მენავე დამსუფთავებელმა ნარჩენის მოზიდვამდე მყარად და საიმედოდ ნავზე მოჭიდება, ასევე მაქსიმალურად ყურადღებით ყოფნა
    - შავი ზღვის სანაპირო ზოლის და მდინარეზე მოწყობილი დამჭერების დასუფთავების შედეგად მოგროვილი ნარჩენის გადამტვირთავ სადგურამდე ტრანსპორტირების დროს გზაზე მაქსიმალურად ყურადრებით ყოფნა
    - კომპანიის ცენტრალურ ოფისში მიმდინარე სამუშაოების დროს სამუშაო მოწყობილობების, ოფისის ოთახებში არსებული ელ.სადენების, სამუშაო ინვენტარის გამართულობა/წესრიგში ყოფნა

- კომპნია მომავალში გეგმავს შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური რაც შესაბამისობაში იქნება ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობასთან და ასევე გააუმჯობესებს აღნიშნულ საქმიანობას და უფრო მოქნილს გახდის ამ მიმართულებას კომპანიაში („საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ - მიღების თარიღი 19/02/2019 წელი“ მუხლი 7, პუნქტი 2);

## 2. ინდივიდუალური დაცვის საშუალება

- კომპანიის მმართველობაში არსებულ ყველა ნაგავსაყრელის, გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და ნარჩენების მართვის სამსახურის, გადამტვირთავი სადგურის და კომპანიის ცენტრალური ოფისის თანამშრომლის შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებით უზრუნველყოფა.
    - ინდივიდუალური დაცვის საშუალება უნდა შეესაბამებოდეს თვითოელი თანამშრომლის პოზიციას (ოპერატორი, მექანიკოსი, დამხარისხებელი, ელექტრიკოსი, ბიოარის ჩირაღდნული წვის სისტემის ოპერატორი, მდინარეზე მოწყობილი დამჭერების დასუფთავების სპეცტექნიკს მემანქანე, მენავე დამსუფთავებელი, გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის დამსუფთავებელი, გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის სპეცტექნიკის მემანქანე, სიმაღლეზე და დახურულ სივრცეში მომუშავე თანამშრომელი, კომპანიის ცენტრალური ოფისის დამსუფთავებელი/დამლაგებელი)
    - თანამშრომლებს უნდა ჩაუტარდეთ შესაბამისი ინსტრუქტაჟები/ტრენინგები ინდივიდუალური დაცვის საშუალების დანიშნულების, გამოყენების და შენახვის შესახებ

## 3. ტრენინგები/ინსტრუქტაჟები ყველა ნაგავსაყრელის, გადამტვირთავი სადგურის და გურიის შავი ზღვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და ნარჩენების მართვის სამსახურის კომპანიის ცენტრალური ოფისის თანამშრომლისთვის

- პერსონალის პერიოდული ინსტრუქტაჟი/ტრენინგი კომპანიის ზოგად შრომის უსაფრთხოების საკითხებში;
- პერსონალის ინსტრუქტაჟი/ტრენინგი ინდივიდუალური დაცვის საშუალების გამოყენების შესახებ;
- პერსონალის ინსტრუქტაჟი/ტრენინგი პირველადი სამედიცინო დახმარების ნაკრების გამოყენების შესახებ;
- პერსონალის ინსტრუქტაჟი/ტრენინგი საგანგებო სიტუაციის დროს მოქმედების წესების და ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ;
- პერსონალის ინსტრუქტაჟი/ტრენინგი ინფექციური პანდემიის დროს მოქმედების შესახებ;
- პერსონალის ინსტრუქტაჟი/ტრენინგი ქიმიურ საშუალებების (დასუფთავება/დალაგების სარეცხი საშუალებები) სწორად მიზნობრივად მოხმარების და დანიშნულებისამებრ გამოყენების წესების შესახებ;

## თავი 4: შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში არსებული მდგომარეობის 2021-2022 წლების შედარებითი ანალიზი

კომპანიაში გასული 2021 წლის ანგარიშში გაწერილი სამომავლო 2022 წელს განსახორციელებელი ქმედებების გეგმა მის დაქვემდებარებაში არსებულ ობიექტებზე, დასაქმებული პერსონალის უსაფრთხოებისათვის და საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის. აღნიშნულ თავში წარმოდგენილი იქნება შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში 2021-2022 წლების შედარებითი მდგომარეობა ციფრებში, ცხრილის და დიაგრამის სახით.

| შრომის უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში 2021-2022 წლების შედარებითი მდგომარეობის ცხრილი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2021 წელს დაგეგმილი ქმედებები | | | | 2022 წელს განხორციელებული ქმედებები | | | | |
| ადმინისტრაციულ/პროცედურული | ტრენინგები/ინსტრუქტაჟები | ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური | დასახარჯი რესურსი ლარში | ადმინისტრაციულ/პროცედურული | ტრენინგები/ინსტრუქტაჟები | ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური | დახარჯული რესურსი ლარში | კომპანიის პიუჯეტის ხარჯი პროცენტულად |
| 2 | 1 | 4 | 40,000 | 2 | 4 | 7 | 414,037 | 10% |




**დიაგრამა 1: 2021 წელს რეგისტრირებული ინციდენტები/უბედური შემთხვევები**




**დიაგრამა 2: 2022 წელს რეგისტრირებული ინციდენტები/უბედური შემთხვევები**

*2021 წელს რეგისტრირებული ინციდენტების /უბედური შემთხვევების რაოდენობასთან შედარებით (რომელიც იმერეთის რეგიონში ფიქსირდება მხოლოდ ორი ინციდენტი) 2022 წელს დაფიქსირებულია 2 ინციდენტი, აღნიშნული ინციდენტების ზრდა როგორც ეს ცხრილში არის მითითებული, მხოლოდ ხანძარს უკავშირდება და ძირითადი მიზეზი არის ელ.გაყვანილობის ხანდაზმულობა და ასევე მუნიციპალური ნაგავმზიდით კომპანიის ობიექტზე შემოტანილ ნარჩენი. კიდევ განვმეორდები გასული წლის ანგარიშში როგორც აღინიშნა და დასაქმებულების მხრიდან, კომპანიაში აღნიშნული კუთხით არსებული პროცედურების დაცვის მიმართ (ობიექტზე სამუშაო პროცესის დროს მომხდარი ინციდენტის/უბედური შემთხვევის რეგიტრაცია ყველა ობიექტზე არსებულ შემთხვევების და ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალში და შესაბამისი წესით კომპანიის შრომის უსაფრთხოების საკითხებში უფროსი კოორდინატორის ინფორმირება, ასვე ხანძარსაწინააღმდეგო სიტუაციის მიმართ თანამშრომელთა მზადყოფნა) გაზრდილ პასუხისმგებლობას და მზადყოფნას, ასევე კომპანიის შესაბამისი სამსაურების მხრიდან აღნიშნული პროცედურების კონტროლს/მონიტორინგს.*

# თავი 5: შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით 2023 წელს რეკომენდირებული სამუშაოების სამოქმედო გეგმა

## შესავალი

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“-ს შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პროცედურების გათვალისწინებით 2022 წლის 28 ივნისიდან - 06 ივლისის ჩათვლით და 01 დეკემბრიდან – 12 დეკემბრის ჩათვლით ყველა მოქმედ ობიექტზე რეგიონების მიხედვით განხორციელდა მონიტორინგი, რომლის შედეგებზე დაყრდნობითაც განახლდა წინამდებარე სამოქმედო გეგმა.

სამოქმედო გეგმის მიზანია საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომოპანიის დაქვემდებარებაში არსებული მოქმედი ობიექტების შესაბამისი შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების განახლებულ ნარჩენი რისკის შეფასების დოკუმენტში გამოვლენილი რისკების და საფრთხეების შესამცირებლად ან მთლიანად აღმოსაფხვრელად კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება და მათი განხორციელების დაგეგმვა, ასევე ჯანსაღი შრომითი გარემოს შენარჩუნება/გაუმჯობესება.

სამოქმედო გეგმა ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი მოიცავს რეკომენდაციების ჩამონათვალს, რომელშიც შემდეგი სახის ინფორმაციაა მოცემული: რეკომენდირებული ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური, ადმინისტრაციულ/პროცედურული და ინდივიდუალური დაცვითი საშუალებების კუთხით განსახორციელებელი ქმედებები, ასევე წარმოდგენილია მონიტორინგის დროს გამოვლენილი კონკრეტული საჭიროებები. განსახორციელებელი ღონისძიებების მონიტორინგის გეგმის ცხრილი წარმოდგენილია მეორე ნაწილში. კერძოდ: დაგეგმილი სამუშაოს სახეობა, განსახორციელებელი ქმედება, პასუხისმგებელი სამსახური და განხორციელების ვადა.

სამოქმედო გეგმა მომზადებულია საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის, ტექნიკური დეპარტამენტის, ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების განყოფილების, კოორდინატორის (შრომის უსაფრთხოების საკითხებში) მიერ, შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით მიმდინარე წლის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით.

# რეკომენდირებული განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალი

1. **ყველა მოქმედ ობიექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოებში გასათვალისწინებელი საჭიროება ხანძარსაწინააღმდეგო ფარის და აღჭურვილობის მოწესრიგება სადაც ამის აუცილებლობა იქნება (რეგიონის მენეჯერებთან კონსულტაციით), აქვე წარმოგიდგენთ მონიტორინგის დროს გამოვლენილ საჭიროებებს:**
   ონი (ორივე ცეცხლმაქრი გახარჯულია), საჩხერე (ორივე ცეცხლმაქრის მანომეტრზე წნევა არ ფიქსირდება), ბორჯომი (1 ცეცხლმაქრი შესაცვლელია), ასევე ცეცხლმაქრის სწორად მოხმარების აღმნიშვნელი სტიკერები თავის ტექსტური ნაწილით (სხვადასხვა მიზეზთა გამო დაზიანდა და გამოსაცვლელია), კერძოდ: ქ.ახალციხის, ქ.საგარეჯოს და ქ.სამტრედიის ნაგავსაყრელისთვის და ქ.ახალციხის, ქ.სამტრედიის ნაგავსაყრელებისთვის (დამატებით 112-ის სტიკერი);
2. **ყველა მოქმედ ობიექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოებში გასათვალისწინებელი საჭიროება ელ.ენერგიის გაყვანილობის მოწესრიგება სადაც ამის აუცილებლობა იქნება (რეგიონის მენეჯერებთან კონსულტაციით), აქვე წარმოგიდგენთ მონიტორინგის დროს გამოვლენილ საჭიროებებს:**
   რაჭა - ლეჩხუმი (ამბროლაური ელ.ენერგია არ არის, ჰელიო სისტემა საჭიროებს რეაბილიტაციას), ტყიბული (გარე განათება მოსაწესრიგებელია), სამტრედია (ელ.ენერგია არ არის, ელექტროფიცირების შესაძლებლობა არის), ზუგდიდი (სასწორი დაზიანებულია) ფოთი (გარე განათებას ჭირდება მოწესრიგება), ოზურგეთი (სამეურნეო ზონის განათება), ყვარელი დაბა ურეკი(კონტეინერების განთავსების ადგილზე არსებულ რკინის კონსტრუქციას ესაჭიროება რეაბილიტაცია), მცხეთა-მთიანეთი ყველა ობიექტს (ესაჭიროებათ ნათურები, გაყვანილობა წესრიგშია), ნინოწმინდა (ჰელიოსისტემა და გაყვანილობა მოსაწესრიგებელია დაზიანებულია), ახალციხე (ელ.გაყვანილობას რეაბილიტაცია ესაჭიროება); მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყველა მოქმედი ობიექტის ხარისხიანი ნათურებით მომარაგება (დიოდური ან სხვა შესაბამისი არა ეგრედ წოდებული სპირალის)!!
3. **ყველა მოქმედ ობიექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოებში გასათვალისწინებელი საჭიროება არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება სადაც ამის აუცილებლობა იქნება (რეგიონის მენეჯერებთან კონსულტაციით), აქვე წარმოგიდგენთ მონიტორინგის დროს გამოვლენილ საჭიროებებს:** ზუგდიდი (ესაჭიროება ღობის შესავსებად ეკლიანი მავთულის მარაგი, ოფისის და დაცვის შენობის გადახურვა დაზიანებულია), ოზურგეთი (ესაჭიროება 80 მეტრი მავთულბადე), ჩოხატაური (ესაჭიროება 30 მეტრი მავთულბადე), ურეკის ახალ ოფისს ესაჭიროება (4 ცალი საოფისე ურნა, ორი კარადა ღია თაროებით), ყვარელი დაბა ურეკი (კონტეინერების განთავსების ადგილზე არსებულ რკინის კონსტრუქციას ესაჭიროება რეაბილიტაცია, მაფრთხილებელი ნიშნების ბოძები ადგილზეა ესაჭიროება ნიშნების განახლება), მარნეული (12 მეტრი ღობე საჭიროებს აღდგენას რეაბილიტაციის პროექტში ჩადებულია), რუსთავი (დახურვის პროექტში გავითვალისწინოთ სამეურნეო ზონის და სამოძრაო სივრცეების სარეაბილიტაციო ნაწილი რა ნაწილიც დარჩება სრული ოპერირებისათვის), ბორჯომი (სახურავს ესაჭიროება შეცვლა ან თუ შესაძლებელია რეაბილიტაცია), ახალციხე (ესაჭიროება 1 ცალი აზბესტის ნიშანი, 1 ცალი ცხოველური ნარჩენის ნიშანი, სასწორის ნიშანი, მიმართულების ნიშანი, მოძრაობის ამკრძალავი ნიშანი);
4. **მონიტორინგის დროს დოკუმენტაციის კუთხით გამოვლენილი საჭიროება:**
   გურია, იმერეთი, სამეგრელო - ზემო სვანეთი, რაჭა - ლეჩხუმი, სამცხე-ჯავახეთი (ქ.ბორჯომის გადამტვირთავი სადგურის გარდა), მცხეთა - მთიანეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი (ესაჭიროებათ უსაფრთხოების ყოველდღიური ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი); **ქ.ახალციხის, ქ.სამტრედიის** ნაგავსაყრელებს და **გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის**

**გაუმჯობესების და ნარჩენების მართვის სამსახურს** (ესაჭიროებათ შემთხვევების და ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი), ასევე ყველა გადამტვირთავ სადგურზე რეგიონული მართვის დეპარტამენტს ესაჭიროება სადგურიდან ჩვენი კომპანიის კონტეინერმზიდის მუშაობის პროცესის (კერძოდ: სახ.ნომერი, მძღოლის ვინაობა, შესვლის და გასვლის დრო და თარიღი) აღრიცხვის ჟურნალი;

5. **მონიტორინგის დროს აღჭურვილობის კუთხით გამოვლენილი საჭიროება:**
   მანგლისი, მარნეული (ესაჭიროებათ გამაგრილებელი და გამათბობელი), რუსთავი (საოფისე ინვენტარი საჭიროებს შემოწმებას: გათბობა/გაგრილების სისტემები), დუშეთი, გორი, ხაშური, ბორჯომი (ესაჭიროებათ გამათბობელი);
6. **მონიტორინგის დროს კომპანიის ცენტრალურ ოფისის სართულზე დალაგება/დასუფთავების სამუშაოებზე დასაქმებული პერსონალის აღჭურვილობის კუთხით გამოვლენილი საჭიროება:**
   სამუშაო ხალათი/წინსაფარი, შესაბამისი ტექ.მახასიათებლის რეზინის ხელთათმანი (მაღალი სახელოთი), სახის დამცავი ფარი, რეზინის ჩექმა, სველი წმენდის კომპლექტი, მშრალი წმენდის კომპლექტი, ძაძებიანი ტილო, ორავზიანი ურიკა მექ.საწურით, შუშის საწმენდი ტილო, მოპის ტილო მშრალი დამუშავებისთვის, ცოცხი აქანდაზით, ბარიერი „ფრთხილად იატაკი სველია“, ასევე დალაგება/დასუფთავების სამუშაოებზე დასაქმებულ პერსონალს ესაჭიროება ცენტრალურ ოფისის სართულზე არსებულ სამუშაო ოთახებისაგან/სივრცისგან გამიჯნული  გასახთელი/გამოსაცვლელი კუთხე ი.დ.ს. შესანახი საკეტიანი კარადა;

## არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე, გადამტვირთავ სადგურებზე და გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და ნარჩენების მართვის სამსახურის შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკების და საფრთხეების აღმოფხვრა/შემცირებისთვის განსახორციელებელი ქმედებების მონიტორინგის ცხრილი

დაგეგმილი/დასრულებული

| განსახორციელებელი ქმედების სახეობა | განსახორციელებელი ქმედება | შესრულების საბოლოო ვადა | შესრულებაზე პასუხისმგებელი სამსახური |
|---|---|---|---|
| ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური | **ყველა მოქმედ ობიექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოებში გასათვალისწინებელი საჭიროება არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება სადაც ამის აუცილებლობა იქნება (რეგიონის მენეჯერებთან კონსულტაციით)!!**<br><br>**1. მონიტორინგის დროს გამოვლენილი საჭიროებები:** ზუგდიდი (ესაჭიროება ღობის შესავსებად ეკლიანი მავთულის მარაგი, ოფისის და დაცვის შენობის გადახურვა დაზიანებულია), ოზურგეთი (ესაჭიროება 80 მეტრი მავთულბადე), ჩოხატაური (ესაჭიროება 30 მეტრი მავთულბადე), ურეკის ახალ ოფისს ესაჭიროება (4 ცალი საოფისე ურნა, ორი კარადა ღია თაროებით), ყვარელი (კონტეინერების განთავსების ადგილზე არსებულ რკინის კონსტრუქციას ესაჭიროება რეაბილიტაცია, მაფრთხილებელი ნიშნების ბოძები ადგილზეა ესაჭიროება ნიშნების განახლება), მარნეული (12 მეტრი ღობე საჭიროებს აღდგენას რეაბილიტაციის პროექტში ჩადებულია), რუსთავი (დახურვის პროექტში გავითვალისწინოთ სამეურნეო ზონის და სამოძრაო სივრცეების სარეაბილიტაციო ნაწილი რა ნაწილიც დარჩება სრული ოპერირებისათვის), ბორჯომი (სახურავს ესაჭიროება შეცვლა ან თუ შესაძლებელია რეაბილიტაცია), ახალციხე (ესაჭიროება 1 ცალი აზბესტის ნიშანი, 1 ცალი ცხოველური ნარჩენის ნიშანი, სასწორის ნიშანი, მიმართულების ნიშანი, მოძრაობის ამკრძალავი ნიშანი);<br>2. **მონიტორინგის დროს აღჭურვილობის კუთხით გამოვლენილი საჭიროება:** მანგლისი, მარნეული (ესაჭიროებათ გამაგრილებელი და გამათბობელი), რუსთავი (საოფისე ინვენტარი საჭიროებს შემოწმებას: გათბობა/გაგრილების სისტემები), დუშეთი, გორი, ხაშური, ბორჯომი (ესაჭიროებათ გამათბობელი); | **30.04.2023წ.** | ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების განყოფილება, რეგიონული მართვის დეპარტამენტი |

| | | | |
|---|---|---|---|
| ადმინისტრაციულ/ პროცედურული | **მონიტორინგის დროს დოკუმენტაციის კუთხით გამოვლენილი საჭიროება:** გურიის, იმერეთიის, სამეგრელო - ზემო სვანეთიის, რაჭა - ლეჩხუმიის, სამცხე-ჯავახეთიის (ქ.ბორჯომის გადამტვირთავი სადგურის გარდა), მცხეთა - მთიანეთიის, შიდა ქართლიის, ქვემო ქართლიის, კახეთიის რეგიონებში მოქმედ ობიექტებზე (ესაჭიროებათ უსაფრთხოების ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალი); ქ.ახალციხის, ქ.სამტერედიის ნაგავსაყრელებს და გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და ნარჩენების მართვის სამსახურს (ესაჭიროებათ შემთხვევების და ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი), ასევე ყველა გადამტვირთავ სადგურზე რეგიონული მართვის დეპარტამენტს ესაჭიროება სადგურიდან ჩვენი კომპანიის კონტეინერმზიდის მუშაობის პროცესის (კერძოდ: სახ.ნომერი, მძღოლის ვინაობა, შესვლის და გასვლის დრო და თარიღი) აღრიცხვის ჟურნალი; | **30.04.2023წ.** | ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების განყოფილება, რეგიონული მართვის დეპარტამენტი |
| სახანძრო უსაფრთხოება | **ყველა მოქმედ ობიექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოებში გასათვალისწინებელი საჭიროება ხანძარსაწინააღმდეგო ფარის და აღჭურვილობის მოწესრიგება სადაც ამის აუცილებლობა იქნება (რეგიონის მენეჯერებთან კონსულტაციით!!**<br><br>**მონიტორინგის დროს გამოვლენილი საჭიროებები:** ონი (ერივე ცეცხლმაქრი გახარჯულია), საჩხერე (ორივე ცეცხლმაქრის მანომეტრზე წნევა არ ფიქსირდება), ბორჯომი (1 ცეცხლმაქრი შესაცვლელია); ასევე ცეცხლმაქრის სწორად მოხმარების აღმნიშვნელი სტიკერები თავის ტექსტური ნაწილით (სხვადასხვა მიზეზთა გამო დაზიანდა და გამოსაცვლელია), კერძოდ: ქ.ახალციხის, ქ.საგარეჯოს და ქ.სამტრედიის ნაგავსაყრელებისთვის (დამატებით 112-ის სტიკერი), ნაგავსაყრელისთვის, (დამატებით 112-ის სტიკერი); | **30.04.2023წ.** | ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების განყოფილება, რეგიონული მართვის დეპარტამენტი |
| ელ.უსაფრთხოება | **ყველა მოქმედ ობიექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოებში გასათვალისწინებელი საჭიროება ელ.ენერგიის მოწესრიგება სადაც ამის აუცილებლობა იქნება (რეგიონის მენეჯერებთან კონსულტაციით)!!**<br><br>**მონიტორინგის დროს გამოვლენილი საჭიროებები: რაჭა - ლეჩხუმი** (ამბროლაური ელ.ენერგია არ არის, ჰელიო სისტემის - რეაბილიტაცია), **ტყიბული** (გარე განათება მოსაწესრიგებელია), სამტრედია (ელ.ენერგია არ არის, ელექტროფიცირების შესაძლებლობა არის და კომპანიის მხრიდან იგეგმება აღნიშნული შესაძლებლობის გამოყენება), ზუგდიდი (სასწორი დაზიანებულია) ფოთი (გარე განათებას ჭირდება მოწესრიგება), ოზურგეთი (სამეურნეო ზონის განათება), ყვარელი (კონტეინერების განთავსების ადგილზე არსებულ რკინის კონსტრუქციას ესაჭიროება რეაბილიტაცია), მცხეთა-მთიანეთი ყველა ობიექტს (ესაჭიროებათ ნათურები, გაყვანილობა წესრიგშია), ნინოწმინდა (ჰელიოსისტემა და გაყვანილობა მოსაწესრიგებელია დაზიანებულია), ახალციხე (ელ.გაყვანილობის რეაბილიტაცია ესაჭიროებათ); მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყველა მოქმედი ობიექტის ხარისხიანი ნათურებით მომარაგება (დიოდური ან სხვა შესაბამისი არა ეგრედ წოდებული სპირალის); | **30.06.2023წ.** | ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების განყოფილება, რეგიონული მართვის დეპარტამენტი |

| | | | |
|---|---|---|---|
| ინდივიდუალური დაცვითი საშუალება (ი.დ.ს.) | საფხულის ტანსაცმლის კომპლექტი + ფეხსაცმელი (შეთანხმებული მახასიათებლების შესაბამისად)<br><br>რესპირატორი (FFP3), სამუშაო ხელთათმანი, სამუშაო სათვალე, ხმაურის დამხშობი (ყურსასმენის ტიპის); | **01.06.2023წ.** | ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების განყოფილება, რეგიონული მართვის დეპარტამენტი, ეკონომიკური მართვის დეპარტამენტი |
| | ზამთრის ტანსაცმლის კომპლექტი + ფეხსაცმელი (შეთანხმებული მახასიათებლების შესაბამისად) | **30.10.2023წ.** | |
| პირველადი დახმარების სამედიცინო ნაკრები | **მონიტორინგის დროს გამოვლენილი საჭიროებები:**<br>პირველადი დახმარების სამედიცინო ნაკრების მარაგი შესავსებია, ასევე საჭიროება მოითხოვს, ნაგავსაყრელის უჯრედში მომუშავე ტექნიკაში სამედიცინო ნაკრების არსებობას (შეთანხმებული კომპლექტაციის და ნაკრების არსებობის მომატებული რაოდენობის შესაბამისად); | **30.04.2023წ.** | ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების განყოფილება, რეგიონული მართვის დეპარტამენტი, ეკონომიკური მართვის დეპარტამენტი |